№ 274 დეკემბერი 23, შაბათი 1889 დეკემბერი 23, შაბათი № 274

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ
ГАЗЕТУ
„КАВКАЗЪ“

Въ 1890 году газета „Кавказъ“ будетъ выходить подъ прежнею редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| | | СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ: | |
|---|---|---|---|
| | Съ доставкою въ Тифлисѣ. | По Имперіи | По почтовому союзу. |
| На годъ | 11 р. 50 к. | 13 р. — к. | 18 р. 40 к. |
| „ ½ года | 6 „ — „ | 7 „ — „ | 10 „ — |
| „ 3 мѣсяца | 3 „ 50 „ | 4 „ — „ | 6 „ — |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ 50 „ | 1 „ 75 „ | 2 „ — |

Подписка принимается **исключительно въ конторѣ редакціи, Тифлисъ,** уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова.

Для иногородныхъ адресовать: **Тифлисъ**, въ редакцію газеты „Кавказъ“.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 დეკემბერს,
ქართულის თეატრის არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება
წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ:
ახალი პიესა
რომ იცოდეს ჩემის გულის დარდები!
კომედია 2 მოქმედ.

II

ბიძიასთან გამოხუმრება
ვოდევილი 1 მოქ. თ. რ. ერისთავისა.

III

ბ-ნ აღნიაშვილის ხორო იმღერებს სხვა-და-სხვა ხმას.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი საბენეფისოა
დასაწყისი 8 საათზე

---

„ქართულის ხოროს ამხანაგობა“
**ბ-ნ იოს. ივ. რატილის**
ლოტბარობით
ამ ორის კვირის განმავლობაში გაჰმართავს
ქართულს კონცერტებს

შემდეგს ქალაქებსა და დაბებში: გორში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და კულაშში.

პირველი კონცერტი გაიმართება გორში სამშაბათს, 26-ს დეკემბერს.

(8—2)

## ახალი ამბავი

⁂ ტფილისის სამეურნეო საზოგადოებას რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიიდამ მოუვიდა რამდენიმე კაცისაგან წერილი. წერილის მომწერნი იბარებენ ჩვენებურ ღომის თესლს რუსეთში სათესად და მოსაყვანად. ღომისაგან არაყის ხდა უნდა დაიწყონო. ამასთანავე ზოგიერთნი იბარებენ აგრეთვე აქაურ ბამბის თესლს.

⁂ გუშინ, ამ თვის 22, ტფილისის პოლიციის უფროსმა გამოუცხადა პოლიციის ბოქაულებს, რომ, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით, კვირას, ამ თვის 28, ყველა მეწვრილმანეს ნება აქვს დუქანი ღია იქონიოს და ივაჭროსო.

⁂ ამ უკანასკნელს კვირაში ტფილისში თორმეტი კაცა მომკვდარა ფილტვის ანთებით, რომელიც ინფლუენციის შემდეგ დაჰმართვიათ გაუფრთხილებლობის გამო.

⁂ ამ თვის 20, ღამის 10 საათზე, თ. ვარანცოვის ძეგლს ახლოს რამდენსამე მთვრალს კაცს მოუვიდა ჩხუბი. ამ ჩხუბში ვიღამაც იძრო ხანჯალი და დასჭრა სამი კაცი, ახალ-ბაიაზეთის მცხოვრებლები: ვასო მიკირტიჩოვი, ავეტიქ მურადიანცი და ერევნელი მიკიჩ ხაჩხულოვი, რომელნიც საქალაქო მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. სამივე ერთ ნაირად მძიმედ არიან დაჭრილნი, მაგრამ სასიკვდილო-კი არა სჭირთ-რა. ბრალდებულნი განჯელი სანდრო კასტანდიანცი, ახალქალაქელი ვალარშაპეტ ინჯიკოვი და ახალ-ბაიაზეთელი არუთინ განანცოვი პოლიციას უკვე შეუპყრია, შეუდგენია ოქმი და საქმე გამომძიებლისათვის გადაუცია.

⁂ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს:

თავად გრიგოლ გურიელმა შემდეგი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები: 1) მარტირიკა ანტონ ქათალიკოზისა, 2) კვინტის კურციოს საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა, გადაწერილი 1811 წ., 3) კარაბადინი ანუ საექიმო წიგნი, ხუცური ხელთ-ნაწერი, 4) ვახტანგ მეფის სჯულის კანონი, 5) მეტაფრასი და მამათა ცხოვრებანი.

რ. ჯაჯანაშვილმა: 1) ზნეობრივი მოძღვრება,მხედრული ხელთ-ნაწერი რვეულად, 2) მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება წამლობისათვის, დაბეჭდილი 1827 წ., 3) მოკლე ღრამატიკა ანტონ ქათალიკოზისა სკოლაში სახმარებლად.

მ. საბინინმა: სურათი „დიდება საქართველოს ეკკლესიისა“.

მღვდელმა ნესტორ ყუბანეიშვილმა ხუთი ცალი სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია.

გამგეობა საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

⁂ რატილის ქართული ხორო ამ ბედნიერს დღეებში გორისკენ აპირებს წასვლას და იქ ერთის კონცერტის გამართვა უნდა. ჩვენ დიდად გვაკვირვებს ამ მხნე და დაუღალავის კაცის ენერგია. თუმცა საზოგადოებამ ვერ დაუმტკიცა თანაგრძნობა, ის მაინც იმედს არა ჰკარგავს, გულს არ იტეხავს და სწვრთნის თავის ხოროს. თითქმის ყოველ კვირაში ახალ-ახალ ხმებს ამზადებინებს ამ პატარა მგალობელ მომღერალთა გუნდს და ეხლაც გორის კონცერტისათვის მოუმზადებიათ რამდენიმე ახალი ხმა და პირველად ამ სიმღერებს გორელები მოისმენენ. ხოროსავე ჰსურს, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, დიდ-მარხვაში გაჰმართოს კონცერტი ტფილისშიაც. ახალი ამ კონცერტში იქმნება

---

# ფელეტონი

## ახლანდელი სიყვარული

(წერილებად)

ბოდიშს ვიხდი წინადვე მკითხველების წინაშე: ეს ორი წერილი ერთმა ჩემმა მეგობარმა გადმომცა წასაკითხად და არა დასაბეჭდად. საქვეყნოდ გამომჟღავნების ნება არ დაურთავს. ამას მე თითონ ვბედავ. პასუხის - გებაშიაც, რასაკვირველია, მე ვიქნები. ამას არ დავერიდე, რადგან წერილები საყურადღებოდ ვსცან, რომ ჩემს გარდა სხვებსაც გაეცნოთ.

—

### ქალის წერილი.

ჩემო კარგო და ძვირფასო პელო! მომილოცე ბედნიერება—ვთხოვდები!ოჰ, ნეტავი ეხლა აქ, ჩემ გვერდით იყო,—რამდენს დაგკოცნიდი, როგორ ჩაგიკრავდი გულში...

რა ბედნიერი ვარ, რომ იცოდე, ჩემო კარგო! მერე იცი, ვინ არის ჩემი საქმრო? ხომ გახსოვს, ინსტიტუტში ერთად რომანებს რომ ვკითხულობდით. ხომ გახსოვს ის ადგილებიც, გულში რომ ჩავიკრავდით და ვკოცნიდით ხოლმე... ჩემი საქმროც სწორედ იმათ ჰგავს. უჰ, რა თვალები აქვს, რომ ჰნახო: სწორედ შავი მაყვალია, სულ ნაპერწკლები სცვივა თვალებიდამ... ხომ მოხვალ ჩვენ სანახავად,—oო! უთუოდ შეგიყვარდება შენც,უთუოდ...მაგრამ გულშიაც არა გაიფიქრო-რა, თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი. გახსოვს, ერთხელ ინსტიტუტში ერთის მასწავლებლის გულისთვის რა ჩხუბი მოგვივიდა... რა სულელები ვიყავით: კალოშებს ვუწმენდდით, ჯიბეში კამფეტებს ვუწყობდით, იმის ქუდს, პალტოს ვკოცნიდით, კუდივით უკან დავდევდით, და,—უზდელი!—ის-კი ყურადღებასაც არ გვაქცევდა... ეხლა რომ მაგონდება, მეცინება...

დიახ, ჩემი ლევანი (დამავიწყდა, ვერ გითხარი, რომ ჩემს საქმროს ლევანი ჰქვიან) სწორედ იმისთანა არ არის! სულ თვალებში შემომყურებს და იმის ცდაშია, რომ მასიამოვნოს როგორმე... სამაგიეროდ ჩემმა ლევანმა რაც უნდა მთხოვოს, ყველაფერს ავუსრულებ, სული რომ მომთხოვოს, სულსაც არ დავუჭერ... შენც ხომ ესე მოიქცეოდი, პელოჯან?..

რას ვამბობ? გადავირიე!.. მაპატიე, ჩემო კარგო, ჩემო სულო, არ ვიცი რასა ვწერ, ძალიან ბედნიერი ვარ, ძალიან!.. მართლა, სულ დამავიწყდა მეთქვა, სად და როგორ გავიცან ჩემი ლევანი... ლევანი კარგი მოცეკვეა. „მაზურკას“ ხომ ისე თამაშობს, რომ გეგონება ჰაერში დაფრინავსო, ძირს ფეხს არ აკარებს. მე, ხომ იცი, როგორ გაგიჟებით მიყვარდა წინადაც ცეკვა, და ეხლა ხომ პურს ნუ მაჭმევ, ოღონდ-კი მაცეკვე და მათამაშე. ჩემი ლევანიც ასე გავიცან და ამისთვის შემიყვარდა. ჯერ გავიცანით „კრუჟოკში“, მერე ჩვენსაც დაიწყო სიარული.

ოჰ, რამდენი ტანჯვა გამოვიარე, რომ იცოდე. ჯერ იშვიათად მოდიოდა ჩვენსა ლევანი, მერე მოუხშირა და თითქმის ისე საღამო არ გაივლიდა, რომ არ ამოსულიყო. შუაღამე კარგად გადასული იყო ხოლმე, რომ ძლივ მოვიშორებდი. განა-კი მინდოდა იმის წასვლა,—მთელი ღამეც, რომ დარჩენილიყო, მე ის მინდოდა... მაგრამ რა ყეყეჩები და საწყლები არიან ეს კაცები! თავი-კი მოაქვთ კიდევ: ჩვენ ვაჟკაცები ვართ, გამბედავებიო! სადაური გამბედავები არიან,—საქმე ისე გამიჭირდა, რომ კინაღამ მე თითონ არ ვუთხარი—„მიყვარხარ-მეთქი!“ რა ექნა, პელოჯან, გული გამიწვრილდა: ზის, ლაპარაკობს ისე ტკბილად, ისე, რომ გული ფანცქალს დამიწყებდა ხოლმე. ხან გაჩუმდებოდა და ისე შემომაჩერებდა თავის მელანიეით შავს თვალებს, თითქოს შეჭმა უნდაო. გავწითლდებოდი, გული ცახცახს დამიწყებდა, მიხაროდა—ეს არის ეხლა-კი გაბედავს და მეტყვის რასმე-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე!—„უკაცრავად, მგონი გაწუხებთ, დიდხანს დავრჩიო“, ადგებოდა და გასწევდა... მე-კი აღარა მკითხავდა!..

წავიდოდა თუ არა, მომვარდებოდა დედაჩემი და გულში დანახავით დამცემდა:—ჰა, შვილო, რა სთქვა? ვერა გეღირსა-რა?.. რა უხეირო რამა ხარ...

— დამანებეთ-მეთქი თავი,—ვეტყოდი გაჯავრებული და მთელს ღამეს სულ ტირილში ვატარებდი.

მაიკომ ხომ ლამის დამაჭლექოს. ის-კი აღარ გეგონოს, რაც ინსტიტუტში იყო. ისეთი საძაგელი რამ გახდა, რომ მეტი არ შეიძლება. ბევრს ცუდს ლაპარაკობენ იმაზე და მჯერა კიდეც. იცი რას მეუბნება:—თალიკო, ჭკუა არ დაჰკარგო და ხელიდამ არ გამოგეცალოს ეგ ლევანიო. ხელი მაგრად ჩაჰკიდე, მდიდარია, მაგისთანა საქმროს ბევრს ვერ იშოვიო.

— მე სიმდიდრისათვის-კი არ მიყვარს, მომწონს და იმიტომ მიყვარს-მეთქი.

— ეჰ, ჩემო კარგო, ჯერ ყმაწვილი ხარ, და იმიტომ ლაპარაკობ ეგრე. მეც ეგრე ვიყავ, მინამ გავთხოვდებოდი. ჯერ შენ ეცადე, მაგრა გათოკო ის შენი ლევანი, მაშინ გეტყვი, ვინც არის ლამაზი. არა, რაში მოგეწონება შენ ლევანთან ის ახალგაზდა აფიცერი რომ არის. თვალებს შენც-კი აცეცებ ხოლმე,—რაღაც ეშმაკურის ღიმილით მითხრა მაიკომ.

ჩვენ შორის-კი დარჩეს, ჩემო პელო, და მართლა რომ სწორედ კალმით ნახატია ის აფიცერი. ყველას მოსწონთ, მაგრამ საქმროდ-კი არავინ ნდომულობს,—ღარიბიაო...

აი დალახვრა ღმერთმა, ყბედად არ გადავიქეცი. სად წაველი... ჰო, იმას გეუბნებოდი. წარსულს კვირას,—ოჰ, რა ბედნიერი დღე იყო ჩემთვის ეს კვირა დღე,—ლევანი სადილად დავპატიჟეთ. შევხედო, მოვიდა ფრაკ-ჩაცმული, თეთრი „ფერჩატკები“ გაეკეთებინა, გახამებული პერანგი თეთრ თოვლივით უბრწყინავდა, თმა შეეხუჭუჭებინა, და ბატისტის ხელსახოცი რომ ამოიღო ჯიბიდამ, ოთახში სულ „დუხების“ სუნი დადგა... მე რიღასთვისაც სხვა ოთახში გაველი, ლევანი და დედაჩემი მარტო დარჩნენ. ცოტა ხანს უკან დედაჩემი გამოვიდა, გამოსწია ჩემკენ, სახე უცინოდა ბედნიერებისაგან, მომეხვია, გადამკოცნა და მითხრა:—მომილოცავ, შვილო, შენი ბედნიერება, ლევანმა მითხრა, რომ შენი შერთვა უნდა.

ამ დროს ლევანიც გამოვიდა და ჩემკენ წამოვიდა. მე გაფითრებული ვიდექი. დედაჩემი უცბად გასრიალდა მეორე ოთახში, რომ მამაჩემისთვის ეხარებინა.

— გეწყინა, ქალო, ჩემი სიყვარული, რატომ ეგრე ხარო?—მეუბნებოდა ჩუმის ხმით ლევანი.

მე სავარძელში დავეშვი ღონე-მიხდილი. ლევანმა ჩემ წინ დაიჩოქა, ხელზედ მაკოცა და მითხრა: „მიყვარხარ, თალიკო, მიყვარხარ! ჩემი ბედი შენს ხელშია, ან ჰო მითხარ, ან არა!..“

გული ისე საშინლად მიცემდა, თითქოს ბუდიდამ ამოვარდნას აპირებსო, თვალთ დამიბნელდა, აღარა მესმოდა-რა...

ცოტა გონს რომ მოვედი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენ, რომ თავი ლევანისათვის გულზე დამიდვია და ლევანი მეხვევა და მკოცნის... გავწითლდი, შემრცხვა და ლევანს მოვშორდი თითქოს გაჯავრებული... პელოჯან, ნეტავი გენახა, რა ტკბილად მიყურებდა ლევანი თავის „მელნისტბის“ თვალებით. ოჰ, როგორ ვნატრობდი, ნეტა ერთი კიდევ ჩამიკრას მაგრად გულში-მეთქი... რა მიუხვედრავები არიან ეს კაცები!.. საწყალი, როგორ მეცოდებოდა! ხელის მოკარებასაც ველარ ჰბედავდა, ასე ეგონა,

სასულიერო სიმღერები, ნოტებად დაწყობილი ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ.

⁂ საცოდავი დახლიდარი პარუნბეგოვი, რომელმაც ორასი ათასი მანათი მოიგო და კი ვერ მიიღო, ჭკუაზე შეშლილა. იმის დედას, ქვრივ მღვდლის ცოლს ლალა პარუნბეგოვისას უთხოვნია საგუბერნიო მკურნალ ბ-ნ გლავაცკისთვის, რომ შეამოწმეთ ჩემი საცოდავი შვილი და საგიჟეთში მიიღეთ ჩემის ხარჯით, რადგან სიგიჟე ისე ძალიან გამოაჩნდა, რომ იმის სახლში შენახვა ყოვლად შეუძლებელია: არც მე და არც მეზობლებს მოსვენებას აღარ გვაძლევს საცოდავიო.

⁂ ბევრი სხვა-და-სხვა შესანიშნავი ძველი ნივთი შეუკრებია გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს, ბ-ნს საძაგელოვ-იევრიელს, და უნდა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გაუგზავნოს. ეს ნივთებია სხვა-და-სხვა ხუცური ან მხედრული ხელთ-ნაწერები, ძველი ფულები არაბულის, ან სპარსულის ზედწარწერებით და ტილოზედ ბერძნულის წარწერით ძველი ნახატი ოდიკი. ხოლო ნაწერებში უფრო შესანიშნავია ხუცურად, წვრილ ასოებით, ნაწერი მსოფლიო ისტორია. ეს წიგნი ქაღალდზეა დაწერილი ფრიად მშვენიერის ხელით და შეიცავს ექვსას სამოც-და-რვა გვერდს. ვისგან და როდის არის დაწერილი ეს წიგნი, მინაწერებიდამ არა სჩანს. შიგა-და-შიგ ცარიელი ადგილებია და ამ ადგილებში გადამწერისაგან ჩაწერილია: „ეს ადგილი დედანიდგან ვერ ამოვიცან“.

⁂ რკინის გზის მატარებელმა გუშინ-წინ, 21 დეკემბერს, ძალიან დაიგვიანა. ის მატარებელი, რომელიც ოთხშაბათს საღამოს თერთმეტს საათზედ უნდა შემოსულიყო ტფილისში, შემოვიდა მხოლოდ ხუთშაბათს დილის ექვს საათზედ, ის მატარებელი-კი, რომელიც ხუთშაბათს დილის რვა საათზედ უნდა მოსულიყო, მოვიდა დილის თერთმეტს საათზედ.

⁂ თიანეთი: თიანეთში 400 კომლია, ზემო-თიანეთში 300, სულ 700. ამოდენა მცხოვრებლებს ერთად ერთი სკოლა აქვთ, რომელსაც ინახავს „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ და რომელიც თითქმის ერთად-ერთია მთელს თიანეთის მაზრაში. სკოლაში 105 შეგირდი იყო და ერთად-ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. ენკენისთვიდამ, ზემოხსენებულის „საზოგადოების“ განკარგულებით, მხოლოდ 60 შეგირდი-ღა იქმნა დატოვებული სკოლაში, რადგან ერთი მასწავლებელი მეტს ვერ ასწავლის. ინსპექტორმა მამა ლეონიდმა შეჰყარა ყრილობა და ურჩია, ათ-ათი შაური რომ გამოიღოთ წელიწადში, მეორე მასწავლებლის მოწვევას შეიძლებთ და შეგიძლიანთ მაშინ 120 შეგირდი იყოლიოთ სკოლაშიო, მაგრამ ამაზე ყრილობა ვერ დაითანხმა. მხნე ინსპექტორმა მამა ლეონიდმა მოიარა ხევსურეთიცა და სთხოვდა მიეცათ თიანეთის სკოლაში ბავშვები, სადაც მათთვის თავ-შესაფარია გამართული, ესე 10 შეგირდისათვის, და საცა „საზოგადოების“ ხარჯით ეძლევათ საჭმელ-სასმელი, მაგრამ ხევსურნიც ვერ დაითანხმა ამაზედ: ჩვენი შვილები ბარში ვერ გასძლებენო. თიანეთი მთის ხევსურს ბარი ჰგონია და იქაური ჰავა მაწყინარი თავისთვის. თუ გინდათ, სკოლა აქ გაგვიმართეთ სადმე, თუნდ ბარისახოშიო. ეს ადგილი პირველი სოფელია ხევსურთა ქვეიდამ მისავალზე. მამა ლეონიდს განზრახვა აქვს ახლა იქ გამართოს სკოლა, იქნება ბირისახოში მაინც გააბარონ ხევსურებმა თავიანთი შვილები წერა-კითხვას სასწავლებლადაო.

⁂ უცნაური ამბავი მომხდარა სოფელს წრომს ახლო, ახალ-სოფელში, გორის მაზრაში. ვიღაც „მაზურიკები“ მისულან იქ და უთქვამთ: ქერები გვინდა ვიყიდოთო. უყიდნიათ კიდეც ორი ვაგონი ქერი და ჩამოუტანიათ გომის რკინის გზის სადგურზე. ფულისა-კი უთქვამთ, რომ აი ჩვენი საკვოიაჟი, შიგ ფულებიაო, და ამოუღიათ კიდეც სამი დიდი დასტა ფულისა. ყუთი მოგვეცით, შიგ შევინახავთ და თქვენვე გებარებოდეთ. მერე ამოვალთ და გაგისწორდებითო. როცა ქერი მიუწონიათ და კვიტანცია აუღიათ რკინის გზისა, ქულიკები გამქრალან. აქეთ სცემიან გლეხები, იქით სცემიან, მაგრამ ველარავინ ვერ უპოვნიათ. შერჩენიათ ხელში მხოლოდ ერთი იმათი ამხანაგი, ვიღაც თორტიზელი, თუ ხურვალეელი აზნაურიშვილი, ელეაზარ ქარუმიძე. ქერის გამყიდველნი ყოფილან: გლეხი ჩუტკერაშვილი, გლეხი ნოზაძე, გლეხი წოწოლაშვილი და ქარელელი ურია ნინუაშვილი. ყველას ცოტა გვიან შეუდვიათ თავი: ყუთი იქა გვაქვს სოფელში და ფულიც ხომ იქ არისო. ბოლოს აუყვანიათ ბოქაული, გაუტეხნიებიათ ყუთი მოწმეთა თანადასწრებით და შიგ მართლა სამი დასტა ქაღალდი აღმოჩენილა. თითოეულს დასტას მხოლოდ თითო სამმანათიანი ჰქონია ზემოდამ გადაკრული, ხოლო დანარჩენი უბრალო ქაღალდი ყოფილა ისე ხერხიანად დაჭრილი და დალაგებული, რომ სულ ფულსა ჰგავდა ერთის შეხედვითაო. რკინის გზის კვიტანციაში მოხსენებულია ქერების გამგზავნელად ვიღაც მაშკუდიანი. არავინ იცის, ვინ არის ეს მაშკუდიანი, ან სად გაჰქრა. პოლიცია დაეძებს ამ მაშკუდიანს, რომლის ამხანაგი აზნაურიშვილი ელეაზარ ქარუმიძე უკვე ხელში უჭირავს. არ ვიცით, რითი გათავდება ეს უცნაური ბოროტ-მოქმედება. გლეხებს არც ქერებს ანებებენ და ჯერ-ჯერობით ის ახირებული ვაჭრებიც, ზემოხსენებულ აზნაურიშვილის მეტი, არავინ არა სჩანს.

⁂ სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ამ დღეებში ამ სოფელში ერთი მშვენიერი ახალგაზდა, ოც-და ოთხის წლის კაცი, ხაშაკო ბეროევი კიდევ გამოასალმეს წუთი-სოფელს დაუნდობელმა ქურდებმა. აი საქმე როგორ იყო: რვას ამ თვეს ხაშაკო ერთის ამხანაგით ტყეში მიდიოდა. ორივემ ცხენები შეაბეს და გაუდგნენ გზას. გასცილდნენ თუ არა სოფელს ხუმელაგას ერთის ვერსის მოშორებით, აქ მოეწივნენ სამნი ცხენოსანნი. ერთმა გადუღობა გზა ხაშაკოს და უნდოდა ჩაეჭრა აღვირი იმის ცხენისათვის. ხაშაკომ რომ შეატყო, ავაზაკები არიანო, გადახტა ურმიდგან, იძრო ხანჯალი და დაუქნია ავაზაკს. ავაზაკის მეორე ამხანაგმა, ხაშაკოს ამოღებული ხანჯალი რომ დაინახა, იშიშვლა თოფი და დაახალა ხაშაკოს. ავაზაკები მაშინვე გაიქცნენ: ამხანაგმა ხაშაკო ურემზედ დაუდვა და შინ მოიტანა. ავაზაკების კვალს მდევარი გამოუდგა და ტუის სოფელში (ქიშტის სოფელია) მიიტანეს კვალი, მაგრამ რა გამოვიდა, ამისთანა კვალი დღეში მგონი ოთხი-ხუთი მიაქვთ საბრალო ოსებს ამ ქიშტების სოფლებში. ხაშაკომ რვიდგან ათამდინ კიდევ იცოცხლა და ათში-კი განუტევა სული. მთელი სოფელი იმის საცოდაობით დაიწვა. საცოდავმა ცამეტს გიორგობისთვეს ჯვარი დაიწერა და ცოლიც ჯერ არ მოეყვანა შინ, ისევ ცოლოურთას ჰყავდა. ბარის ოსებს ჩვეულებად ისე აქვთ, თუნდა ჯვარ-დაუწერავი იყოს და თუნდ ჯვარ-დაწერილი, სიძე სანამ თავის სახლში არ წაიყვანს საცოლეს, მანამ თავისუფლად არ აჩვენებენ ქალს. ხაშაკო ბეროევს, შეუბრალებლების ავაზაკების წყალობით, აღარ დასცალდა თავისი ახალი ჯვარ დაწერილი მეუღლე სახლში მაინც მოეყვანა.

◆◆

## წერილები რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს გაზეთში პატარა ალაგი მისცეთ ამ ჩემს წერილს. მე აგერ სამი კვირა არის, რაც მძიმე ავადმყოფი გახლავართ, ასე რომ ჩემი ექიმი ამ ორს კვირასაც არ მაძლევს ნებას ავდგე ლოგინიდამ. ქართულის თეატრის ყოველ განცხადებაში-კი ვკითხულობ, რომ მე ვითომ მონაწილეობას ვიღებდე. არ ვიცი რა აიძულებს ბატონს ქართულის თეატრის მმართველს, რომ ჩემს თავსაც აძულებს საზოგადოებას და თითონაც ასე ხშირად იძულებული ხდება ატყუოს საზოგადოება. მე ამის გამოცხადება იმიტომ-კი არ მომდის, რომ დიდად ძვირფასად მიმაჩნდეს ჩემი სცენაზედ გამოსვლა, არა, მე ის მაწუხებს, რომ დიდად დაჯილდოებული ვარ საზოგადოებისაგან და არ მინდა მათი წყენა.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა
20 დეკემბერი

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ეხლანდელი წესი სწავლებისა რუსულს გიმნაზიებში ბევრს ჭემ-

---

მართლა მეწყინა და გავჯავრდი... ხელზედაც აღარ მაკოცა... უგულო, საძაგელი!..

სადილზე კარგს გუნებაზე იყო, ბევრს ლაპარაკობდა და რა კარგად ლაპარაკობდა. მე-კი კრიჭა შემეკრა, მადაც სრულიად დამეკარგა, სულ ლევანს შევყურებდი და მხოლოდ მაშინ ვარიდებდი თვალებს, როცა ჩემკენ შემოიხედებოდა... სადილს შემდეგ ლევანი დიდხანს აღარ დარჩენილა. რომ მიდიოდა, ხელზე მაკოცა და მითხრა:—ჩემო კარგო, მივდივარ და ჩემი გული-კი აქა რჩება, საღამოზე აქა ვარ... ხომ არ დამითხოვთ?!.

პელოჯან, რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!.. ნეტავი აქ იყო, რამდენ რას გიამბობდი... შენ ხომ ჯერ არ გამოგიცდია სიყვარული!.. რომ იცოდე, რა ბედნიერება, რა ნეტარება ყოფილა!..

ახლა-კი კმარა... უნდა დავისვენო, რომ ჩემს ლევანს საღამოზე კარგად დავხვდე...

მოგეხვევა და დაგკოცნის ბევრჯელ,
ასჯერ, ათასჯერ, უთვალავად
შენი თალიკო

**

### წერილი გაჲისა

ჩემო ბედნიერო მეგობარო! ამ ბედნიერებასაც ხომ მოვესწარ! მომილოცე—დავინიშნე, ცოლს ვირთავ. ესღა მაკლდა!.. ჰა! ჰა! ჰა! არ გეცინება? არა, მე და ცოლიანი, მე, რომელიც მუდამ ცოლის წინაამღდეგი ვიყავი?!. მერე არ იკითხავ, როგორ მომიხდა ეს ამბავი? ეჰ, ჩემო მეგობარო, ყველა ბედის წერა ყოფილა! ეტყობა, მეც ეს მეწერა. ხომ იცი, როგორ ვატარებდი დროს... ღმერთს შნო არ დაუკლია ჩემთვის და მამიჩემის წყალობით კიდევ საცხოვრებლად ზრუნვა არ მინდა: ჩემი სიმდიდრე ჩემს სიცოცხლეში გამწვდება. ამ ორ ღირსებას-კი, როგორც შევიტყე, ისეთი მიმზიდველი თვისება ჰქონია ქალებისთვის, როგორც თაფლს ბაღდადის ბუზებისთვის. ხომ იცი, რომ ბუზები არც წინად მძულდნენ და არც ეხლა მეჯავრებიან,—ერთი კარგი თვისება აქვთ: გაძღებიან თაფლით და გაფრინდებიან, ისინიც მადლიერნი არიან და შენც მოსვენებული ხარ. მაგრამ ზოგიერთი რომ მონავარ ბუზივით ჩამოგეკიდება, ეს-კი არ მომწონს. მეშინიან, ძალიან მეშინიან, რომ ეს ჩემი დანიშნული ამ მონავარ ბუზად არ გადამექცეს.

მაკვირვებს ამ ქალების საქმე! ბუნებით არიან ასე სუბუქის ხასიათისანი, თუ განგებ სჩადიან: საკმარისია ერთი ორი მეტი სიტყვა წამოგცდეს,—შენს სიტყვას მაშინვე ხალას ოქროდ მიიღებენ და შენს მტერს,—გამუდმებულ ციებ-ცხელებას მოიშორებ და იმათ-კი ველარ...

სულ ამ ჩემმა ენამ-კი მიყო ეს საქმე, ჯერ ენამ და მერე „მაზურკამ“... ნეტავი ფეხი მომტეხოდა იმ ერთს საღამოს მაინც... „კრუჟოკში“ „მაზურკის“ დროს გავიცან ეს ჩემი საცოლე. ხომ იცი უსაქმურის კაცის ამბავი, მეტადრე თუ ცუდს გუნებაზედაც არის. მოწყენილად ვიყავ ძალიან იმ საღამოს. თავის გასართობად, ჩვეულებრივ, ცოტად გავუარშიყდი, ორიოდ-სამიოდე რაღაც სასიამოვნო სიტყვა ვუთხარი. რა დაგიმალო, ცოტა არ იყოს გულიც შემივარდა, ლამაზი, ცქრიალა ქალი იყო. მე და შენ ხომ თვალი გამოცდილი გვაქვს, არ მოვტყუვდებით. მაგრამ ამას-კი აღარ მოველოდი: აკი ღმერთი გამწყრომია და ჩემს სიტყვებს თოფის წამალსავით უფეთქია იმ ქალის გულში!.. შევხედო, მეორე საღამოს აღარა მშორდება, მესამეზე დედ-მამა გამაცნო, მეოთხეზე შინ მიმიპატიჟეს. მეც წავედი.

არა, შე სულელო ჩემო თავო, ყეყჩა ინდაურივით რომ თავი აგიღია და მისდიხარ, არ იკითხავ მაინც, სად და რისთვის მისდიხარ!.. მივედი და რაც მოჰყვა ამ მისვლას, ხომ გაიგე?.. ეჰ, ბედის წერაა, ჩემო მეგობარო, რას იზამ! ნეტავი შენ, რომ გადურჩი ამ ბედნიერებას!.. მაგრამ არა, ვგრძნობ, რომ ეს ცოლი დიდ და მოუნელებელ ცოდად უნდა დამაწვეს გულზე! ვერა, ვერ ავიტან...

არა, ერთი უყურე კიდევ ჩემს გამოსულელებას, გამოჩერჩეტებას! ჩემი დანიშნული და იმის დედა თეატრში დავპატიჟე. ის-კი სრულებით ჭკუიდამ გამომივიდა, რომ ჩემი ვარამი და ვაგლახი ლოლა ყოველ ღამეს იქ არის. ხომ გახსოვს ეს ასპიტი და ცეცხლი დედაკაცი. სიცოცხლე გამიმწარა სწორედ; დასწყევლოს ღმერთმა, ჭირივით გადამეკიდა და რომ ველარ მოვიშორე...

სწორედ გითხრა, იმ ამბავმა, რომ ეს ჯოჯოხეთი დედაკაცი თეატრში სხვასთან მნახავს და, ვინ იცის, იმასაც შეიტყობს, რომ მე დავნიშნულვარ,—ისე შემაშინა, რომ მხდალივით უკან დავიწიე. წერილით ათასი ბოდიში მოვიხადე, რომ დღეს თეატრში ველარ წამოვალ, რადგან უეცრად ავად გავხდი-მეთქი. წერილი რომ გავგზავნე, მხოლოდ მაშინ მოვედი გონს: ეხლა რომ თავს დამესხან, გულგახეთქილები მოცვივდნენ და „ვუი ჩემს თვალებს, ჩემო ლევან, რა გტკივა, რა დაგემართა“ დამიწყონ, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე... ეჰ, რა წყალში გადავარდნა და რა ამდენი გულის ხეთქა! ავდგები და წავალ სადმე... საჩქარო საქმეები გამომიჩნდა-მეთქი,—მივწერ.

ან ეს რა საჭიროა? ხმასაც არ ამოვიღებ. ვნახოთ, როგორ იქნება და გზიდამ მოვწერ რასმე. ვთქვი, წავედი, ავიღე ბილეთი და გავწიე რკინის გზით. გადავიარე მთები და ჩამოვხდი იმ ქალაქში, რომელიც გათქმულია ბულვარით და ამ ბულვარზე მოსიარულე მექორეებით...

მეც ბულვარზე დავიწყე ხეტიალი, როგორც ბევრი უსაქმური დახეტიალებს ხოლმე აქ. ძალიან მოწყენილად ვიყავ, თითქოს რაღაც ნაღველი მაწვა გულზე... აგერ ხელი-ხელ გაყრილნი დასეირნობენ ვიღაც ქალი და კაცი. არ ვიცი, რად მიიქციეს ამათ ჩემი ყურადღება? ქალმა თითქოს როგორღაც უცნაურად შემომხედა. მეჩვენა თუ მართლა ასე იყო, არ ვიცი... გავიდნენ ბულვარიდამ, მეც უკან გავყევი. სასაცილო არ არის? ერთს ქალს გამოვეკიდე, მეორეს უკან ვედევნები!.. რას იზამ, ეტყობა ბუნების წესი ასეთი ყოფილა. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: მელას თავისი სარჩობელა უყვარდაო.

ხანდახან სწორედ უცნაურად მოჰყვება ხოლმე ერთი მეორეს: წარმოიდგინე, რომ ეს ჩემი უცნობი ქალი და კაცი იმ სასტუმროში შევიდნენ, სადაც მე ვიყავ ჩამომხტარი. გამიკვირდა და თანაც მიამა,—ნატვრა ამიხდა თითქოს.

შევედი და,—გულმა არ მომითმინა, მაშინვე ვკითხე მსახურს:

— აქა დგანან ეგენი?

— დიახ, ბატონო!

— არ იცი, ვინ არიან?

— თვით ამბობენ, ცოლ-ქმარნი ვართო, და მე-კი რა მოგახსენოთ... და გაიძვერა მსახურმა თვალით მანიშნა...

„ბრიყვი“ დავუძახე მსახურს და ჩემს ოთახში წავედი. ამ სასტუმროებში პატიოსან ქალს სწორედ არ შემოესვლება კაცთან. ვინ იცის, რა თვალით დაგიწყებენ მაშინვე ყურებას.

ცნობის-მოყვარეობამ გამიტაცა: ვინ უნდა იყვნენ-მეთქი ეს ქალი და კაცი,—ვფიქრობდი. ცუდი არა იფიქრო-რა,—ხომ ვიცი შენი ამბავი!

ოთახში გული აღარ დამიდგა. ოთახებს წინ დიდი შუშაბანდიანი აივანი იყო. გამოვედი და ამ აივანზე დავიწყე სიარული. დიდხანს არ გაუვლია, და ვხედავ, რომ იმავე აივანზე გამოვიდა ჩემი უცნობი ქალიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიტს მოსიყვარულეს რუსეთისას უშფოთებს სულსა და გულს, ყველა იმას გაიძახის, რომ ლათინურმა და ბერძნულმა ენამ ბავშვებს გონება დაუხშო, იმათის წყალობით სწავლა რაღაც თუთიყუშურ გაზეპირებად გადაქცეულა და არა გონების ჭეშმარიტ განვითარებადაო. ასეთი საჩივარი გაისმის ამ ჟამად არა თუ მარტო რუსეთში, არამედ უცხო ქვეყნებშიაც, განსაკუთრებით-კი საფრანგეთსა და გერმანიაში. ყველგან სცდილობენ გიმნაზიებში სწავლების წესი განაკარგონ და გააუკეთესონ როგორმე და გამოუსადეგარ და გამოუყენებელ ლათინურისა და ბერძნულის დაზეპირებით ხალისი ცოდნისა არ დაუკარგონ მომავალს თაობას. აი ეხლა ამავ სურვილს აულაპარაკებია ორიოლის გუბერნიის თავად-აზნაურობა და ერთ-ხმივად მოუწონებია ბეხტეევის წინადადება, რომ ვიშუამდგომლოთ უმაღლესის მთავრობის წინაშე, ჩვენის საშუალ სასწავლებლების მდგომარეობა დავანახვოთ და აწინდელის სწავლების წესის უფრო საუკეთესოდ შეცვლა ვსთხოვოთო. ამ ფრიად მოსაწონსა და შესანიშნავს გადაწყვეტილებას სიხარულით ეგებება მოსკოვის გაზ. „Русскія Вѣдомости“-ც თავისს მეთაურს წერილში და აი, სხვათა შორის, რას ამბობს:

> ეს ამბავი სიხარულით აუძგერებს გულს ყველას, ვისაც ძვირფასად მიაჩნია მერმისის თაობის ბედნიერება და კეთილდღეობა. დროა, დიდი ხანია დროა გამოვესარჩლოთ ჩვენს შვილებს, რომელნიც მეტის-მეტს შრომაში არიან, ზნეობრივად და ფიზიკურად მავნებელს შრომაში, და რომლის ატანისათვის არც ძალა შესწევთ და არც ღონე. ასე უდიერად ვექცევით ყმაწვილებს მხოლოდ იმის წყალობით, რომ პედანტობა დღესასწაულობს და სწავლის წესი ცხოვრების მოთხოვნილებას გზაში ეხიდება. „ჩვიდმეტი წელიწადი ცრემლსა ვღვრით, ჩვიდმეტი წელიწადი მდუღარება გადმოგვდისო“, უთქვამს თავად-აზნაურთა წინაშე ს. ბეხტეევს, უთქვამს, მაგრამ რა არის ცრემლი იმ კაცებისა, რომელთაც ცხოვრების გზის ნახევარი მანძილი უკვე გაუვლიათ, თუ შევადარეთ იმ ცრემლთან, რომელიც ყოველ დღე იღვრება ათასობით ოჯახში ლათინურის სიტყვებისა და საგეოგრაფიო სახელების წყალობით. ადრიან დილიდგან მოკიდებული კარგა დაშუაღამებამდე სხედან ნორჩნი მუშაკნი ტვინის გამახრიოკებელ აბდა-უბდას წინაშე, გამოუსადეგარ წვრილმანების ჩხრეკასა და ლოღიალში ატარებენ და ამ შრომაში-კი არც იმათი გრძნობა იღებს მონაწილეობას და არც გონება... ჩვენი შვილები დაჩაგრულები და სუსტნი არიან, არაფრის ცნობის-მოყვარეობა არა აქვთ, ყმაწვილური სიკასკასე და ცხოვრების ხალისი არაფერში ეტყობათ, შრომისთვის გამოუსადეგარნი არიანო, აი ასეთი ჩივილი ისმის ყოველ მხრიდგან! ან როგორ არ უნდა ისმოდეს, როცა ერთი მოდგმა მეორეზედ დუხჭირდება სწავლების წესის წყალობით, იმ წესისა, რომელსაც საფუძვლადვე სიყალბე უდევს, ხელოვნებით არის შექმნილი და რუსულს საზოგადოებას ძალის ძალათა აქვს თავზედ მოხვეული.

ბეხტეევი ამბობს თავისს სიტყვაში, რომ 1872 წ. დაწყებული, როცა ეხლანდელი წესი სწავლებისა გადმოვიღეთ გერმანიიდგან, ჩვენი ახალგაზდობა სუსტ-მკერდიანია, უხასიათო, ხერხემალ-მრუდე და სუსტ-გონებაო. განა ასეთი მდგომარეობა მოსათმენია და ასატანიო, კითხულობს გაზეთი.

> სასწავლებელში იზრდება მერმისი ქვეყნისა, უსასწავლებლოდ კულტურის სამკვიდროდ ქცევა ყოვლად შეუძლებელია. ცუდი სასწავლებელი ცუდს ოჯახსა ჰქმნის, სახელმწიფოს ზნეობრივს საძირკველს უხრის. ცუდს მერმისს იმზადებს ის ქვეყანა, სადაც ყმაწვილები მასწავლებლებს მტრად ჰხადიან და არა მეგობრად, სადაც ახალად ცნობა გაღვიძებულს ნორჩს შთამომავლობას გონების განსავითარებელი შრომა კატორგად და უაზრო, უსაგნო ტანჯვა-წამებად მიაჩნია. ეხლანდელის სასწავლებლებით ჭეშმარიტს ცოდნას-კი არ ვუღვივებთ ყმაწვილს, ნორჩის გონების აყვავებასა და განვითარებას-კი არა ვსცდილობთ, პირ-იქით, ვუხშობთ ყოველისფრის უნარს, ბავშვის მეხსიერებას ტვირთად ვკიდებთ არავისათვის და არაფრისათვის გამოსადეგ ცნობებს. ჩვენ გვინდა ვითომ-და კლასიკურის კულტურის მდიდარი ნაშთი ვუსაძირკვლოთ წესს სწავლისას, ამის მაგიერ მკვდარ, გადაშენებულ ენების გარეგანს სახეს გამოვდგომივართ და უმთავრესი საგანი აღზრდისა გვავიწყდება. ეს საგანი-კი, თვით ძველთა აზრითვე, ის არის, რომ ჰარმონიულად იყოს განვითარებული ადამიანი. ვცდილობთ ყმაწვილს გრამატიკა შევასწავლოთ სავსებით, ამ მხრითაც ჩვენი სურვილი ვერ განგვიხორციელებია და ამასთან, მოსწავლე ახალგაზდობის განვითარების ნაცვლად, ვუმახინჯებთ გონებას, ისეთს ადამიანად გადავაქცევთ ხოლმე, რომელსაც არაფრის უნარი არა აქვს, რომელსაც შრომაც-კი არ შეუძლიან.

ბოლოს გაზეთი ამბობს, რომ იმედია ბეხტეევის სიტყვას მთელი რუსეთი აღმოუჩენს თანაგრძნობას ისე, როგორც ორიოლის გუბერნიამ აღმოუჩინა და მხარი მისცა. ორიოლის თავად-აზნაურობის გადაწყვეტილება მთელის რუსეთის საზოგადოების სურვილსა ჰქადადებს საერთოდ და ყველა ხარბად მოელის სწავლის აწინდელის წესრიგის საუკეთესოდ, უფრო სამჯობინოდ შეცვლასაო.

**

ახირებული პატიოსნება გამოუჩენია ერთს ოდესელს. ეს კაცი, როგორც მოგვითხრობს «Одесскій Листокъ»-ი, შესულა ფეხსაცმელის მაღაზიაში, ერთი წყვილი კალოში უყიდნია, ფული მიუცია, ხურდა მიუღია და წასულა. როცა ხურდა დაუთვლია, უნახავს, რომ მაღაზიის პატრონს ოთხი მანეთი მეტი გადმოუყოლებია ხურდაში. მერე, როგორ მოქცეულა ეს კაცი? იქნება ის იფიქროთ, რომ, რაღა თქმა უნდა, მაშინვე დაუბრუნებდა გამოყოლილს ხურდასაო? ტყუილი ფიქრი იქნება: ეს კაცი მისულა სახლში, აუღია კალამი და შემდეგი წერილი მიუწერია მაღაზიის პატრონისათვის:

> „მოწყალეო ხელმწიფევ!
>
> ამ თვის 5-ს, საღამო ხანზედ, თქვენს მაღაზიაში ერთი წყვილი კალოში ვიყიდე 2 მან. 30 კაპ. და ათ მანეთიანი მოგეცით. თქვენ, 7 მან. 70 კაპ. მაგიერ, 11 მან. 70 კაპ. დამიბრუნეთ ხურდა—ხუთი თითო მანეთიანი, ორი სამიანი და 70 კ. წვრილად, სულ 11 მან. 70 კაპ., ასე რომ 4 მანეთი მეტი გამომყვა. დიდის სიამოვნებით დაგიბრუნებდით ამ ფულს უკანვე, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ამის ნებას არ მაძლევს, და თუ ამ ამბავსა გწერთ, გწერთ იმიტომ, რომ ჩემი პატიოსნება დაგიმტკიცოთ. იქნება როდისმე გადაგიხადოთ.
>
> დაგშთებით თქვენი პატივის-მცემელი...“

საკვირველი პატიოსნებაა! ამ კაცს ეტყობა ჯერ არ გაუგონია ქართული ანდაზა: „თუნდა გახიე, თუნდა გაფხრიწე, ორივე ერთი ღვთის რისხვააო“.

◆◆

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** გაზ. „Koelnische Zeitung“-ი დიდად აქებს ოსმალეთის ჯარს, მეტადრე არტილერიას. გერმანელმა ინსტრუქტორებმა საკვირველად გაწვრთნეს ოსმალეთის მხედრობა და ჯარიო, ისე რომ სამხედრო გასეირნება სტამბოლისაკენ ეხლა ძალიან გაუჭირდება ისეთს სახელმწიფოსაც-კი, რომელსაც ოსმალეთზე მეტი და ძლიერი მხედრობა ჰყავსო.

გაზ. „Times“-ი ამბობს, რომ ვენელმა ელჩმა აცნობა ოსმალეთს, რუსეთი დიდს მზადებაშია და ოსმალეთს უპირობს წინააღმდეგობასაო. ამის გამო ოსმალეთის მთავრობა შეეკითხა თავის პეტერბურგელს ელჩს, მართალია ინგლისურის გაზეთის ნათქვამი, თუ არაო. პეტერბურგელმა ელჩმა შეუთვალა თავისს მთავრობას, რომ გულ-დამშვიდებით იყავით, რუსეთი მშვიდობიანს პოლიტიკას თავს არ დაანებებსო.

— მინისტრთა საბჭოში სჯა იყო, რომ მოსპობილ იქმნას შესევა არნაუტებისა სერბიაშიო. დიდის სერბიიდამ გახიზნვა ხალხისა უფრო და უფრო ძლიერდება.

— კრიტის ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია სია იმ კრიტელებისა, რომელნიც დასჯილ იქმნენ სხვა და სხვა გვარის დანაშაულობისათვის უკანასკნელის ამბოხების გამო და რომელნიც ხონთქარის ფირმანმა არ იპატია...

**ინგლისი.** ერთი ინგლისური ჟურნალი ამბობს, რომ ლორდი სალისბერი ურჩევს ინგლისის დედოფალს ვიქტორიას მერმისს ზაფხულს მოიარეთ ირლანდიაო.

— საყურადღებოა ის ორი სიტყვა, რომელიც პარნელს, ირლანდიელების მეთაურს, წარმოუთქვამს ნოტინგემსა და ლივერპულში. იმ კრებას, სადაც პარნელს ულაპარაკია, დიდის თანაგრძნობით მიუღია ირლანდიელების მეთაური. „ვგონებ, მე პირველი ირლანდიელი ვარო, უთქვამს პარნელს: რომელსაც ხვდა წილად ასეთი თანაგრძნობა ინგლისელებისა და რომელსაც ისე გულ-უხვად ენდნენ, როცა ხელის-მოწერა გაიმართა ჩემს სასარგებლოდ „Times“-ის

---

არ დამერიდა, მოვიდა და დამიწყო ლაპარაკი:

— უჰ, რა მოსაწყენია ამ სასტუმროებში ცხოვრება, ადამიანს ნაღველი გაუსივდება. ჯან-მრთელიც რომ იყოს ადამიანი, აქ ავად გახდება, და ავადმყოფს რაღა უნდა დაემართოს.

— მერე ვინ გატანთ ძალას, რომ სცხოვრობთ აქა?—დავუწყე მეც გაბედვით ლაპარაკი.

— ექიმებმა გამომგზავნეს, გაერთობით, გულს გადაგეყრებათ დარდიო. ქალაქიდამა ვართ. ქმარიც თავს არ მანებებს. აბა ჯანს რა გამიმთელებს, ავად მაგისაგანა ვარ. თითონაც ექიმია. ოჰ! რომ იცოდეთ, რა საძაგელი კაცია, საზიზღარი. კუდივით უკან დამდევს, თვალს მადევნებს, როგორც ჯაშუში. უცხო კაცთან რომ დამინახოს, ერთ ამბავს დააწევს, სიცოცხლე მომიწამლა, მომიშხამა.

— მაშ მაკვირვებს, ქალბატონო, თქვენი გაბედულება: თქვენც დამეთანხმებით, რომ მე უცხო კაცი გახლავარ თქვენთვის. სიფთხილე ცუდი არ იქნებოდა, მით უფრო, რომ თქვენი ქმარი აქ ახლოს არის და შეუძლიან ყოველს წამს გამოვიდეს. წინათვე თადარიგის დაჭერა ურიგო არ იქნება, რომ უსიამოვნება თავიდამ ავიშოროთ.

— აი, თქვე ლაჩარო, მხდალო! შეგეშინდათ განა? ეგ არა ხართ კაცები! ჩვენ, სუსტ ქალებთან გამოიჩენთ ხოლმე მარტო ვაჟკაცობას!..

— უკაცრავად, ქალბატონო, მე სრულებით მაგ აზრით არ მოგახსენეთ, რომ სიფრთხილე მეტი არ იქნება-მეთქი.

— მე კი მეგონა, რომ მფარველობასაც გამიწევდით, თუ ჩემი მტანჯველი, ჩემი მტარვალი-ქმარი სულელობას დაიწყებდა...

— ოო! თუ-კი საქმე მანდამდე მივიდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს ქმარს ნებას არ მივცემ...

— მართლა?! განა არა, წელან პირველადვე რომ დაგინახეთ, გულმა მითხრა, რომ თქვენ კეთილშობილი და რაინდული გული უნდა გქონდეთ... მაშ არ მოვტყუვდი?!.

და ისე ეშმაკურად ჩაიცინა, თვალები ისე გადაათამაშა, რომ ჩემმა გაჯეჯგილმა და მოღლილმა გულმაც-კი რაღაცა იგრძნო და ძგერა დაიწყო. არ ვიცოდი, რითი გათავდებოდა ეს უცნაური ნაცნობობა და უფრო უცნაური ბაასი, რომ ამ დროს ქმარი არ გამოსულიყო ოთახიდამ. ქმრის დანახვაზე ქალმა თავი ჩალუნა და ოთახისკენ გასწია. მეც ჩემს ოთახში შევედი.

როგორ ჰფიქრობ, ჩემო მეგობარო, ვინ უნდა იყოს ეს ქალი? შენ ხომ ამისთანებში გამოცდილი ხარ! მეც-კი, ღვთის წინაშე, ბევრი მინახავს ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ მაინც რომ არ მესმის, რა უნდა ჩემგან ამ ქალბატონს!...

მთელი საღამო სულ ამ ფიქრებში გავატარე. ოთახში სიარულით მოვიქანცე. შუაღამე გადასული იყო... ისის იყო ძილს ვაპირებდი, რომ უცბად მომესმა, თითქოს კარებს ვიღაცა აკაკუნებსო. ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ კარები ჩუმად შემოიღო და,—ღმერთო ჩემო!—ვინ დავინახე: მოდის თავ ჩაღუნული, თითქოს მოჩვენებააო, ჩემი ახალი ნაცნობი, მეზობელი ქალი,—და რა სახით მოდის...

— ქალო, ამ დროს და მაგ ტანისამოსით?.. რამ გაგაბედვინათ, ისიც უცხო კაცთან?.. სულ რომ არა იყოსრა, სახელის გატეხისა მაინც არ გეშინიანთ?

— მიშველეთ! არ გებრალებით, ჩემი ავაზაკი ქმარი დამბაჩით მოკვლას მიპირებს...

— როგორ? რისთვის? ნუ თუ ეგ შესაძლისია?!.

ქალმა პასუხის მაგიერ ქვითინი დაიწყო და ღონე-მიხდილი სავარძელში დაეშვა. ცახცახებდა, გადახსნილი გულ-მკერდი ზღვის ტალღებივით ადიოდ-დადიოდა.

— გული დაიმშვიდეთ! წყალი დალიეთ. ნუ გეფიქრებათ, მე აქა ვარ. ოო! ეს-კი მეტის-მეტია! მე გავცემ პასუხს, თუ თქვენმა ქმარმა მართლა გაბედა აქ შემოსვლა!—ვამშვიდებდი აღელვებულს ქალს დაჩოქილი სავარძლის წინ.

— მჯერა, მჯერა თქვენი კეთილშობილური ხასიათი! ოჰ, ჩემო მხსნელო, ჩემო მფარველო! რით გადაგიხადო მადლობა...და,—ეტყობა მადლობის გადასახდელად,—ხელები მომხვია, გულში მიმიკრა მაგრა და ტუჩებით წურბელასავით მომეკიდა ტუჩებზე. ჯერ ბევრი ვეცადე მომეშორებინა, გონებაზე მომეყვანა... ბოლოს მეც სისხლი ამივარდა თავში, თავი დამავიწყდა... სწორედ ამ დროს კარები გაიღო და ჩემს ოთახში შემოვიდა ამ ქალის ქმარი. ქალმა შეჰკივლა და მომშორდა.

— რა ნება გაქვთ, რომ ჩემ დაუკითხავად ჩემს ოთახში შემოსდიხართ?—შევყვირე გაჯავრებულმა და აღელვებულმა.

— ისეთივე, რაც ჩემს ცოლს!—მიპასუხა სიცილით.

— მოწყალეო ბატონო, თქვენ ცოტა უზრდელად იქცევით-მეთქი!..

— მერწმუნეთ, რომ ჩემი უზდელობა ისეთი დანაშაულობა არ არის, როგორც თქვენი. რა ზრდილობაა, მითხარით, უცხო ქალის მიღება ამ უდროო დროს?..

— ეს ქალი თავ-შესაფარებლად შემოვიდა აქ; თავის ავაზაკს, მტარვალ ქმარს გამოექცა!..

— ეგ ქალი ჩემი ცოლი გახლავთ. ავაზაკი, მტარვალი ქმარი—მე გახლავარ. იქნება გნებავდეთ მაგ ქალის გამოხსნა მტარვალის, ავაზაკისაგან? ოო! მე სრულს ნებას გაძლევთ. მხოლოდ მოვალედ-კი ვრაცხ ჩემს თავს წინადვე შეგატყობინოთ, რომ ჩემს ცოლს ავადმყოფობა სჭირს, პსიხოპატი გახლავთ...

ამ სიტყვაზე ისე შევკრთი, თითქოს გველმა დამკბინაო, და განზე გავდექი.

— რას გაჩუმდით, პასუხს რატომ არ მაძლევთ. შეშინდით, რაინდო? თქვენა, ქალო, თქვენ რაღას გაჩუმებულხართ? მოგწონთ თქვენი ახალი საქმრო?

მიშველ!—წამოიძახა უცბად პსიხოპატმა და გადაეხვია თავის ავაზაკს, მტარვალს ქმარს. ქმარმა ხელი დაუჭირა და წყნარად გაიყვანა ოთახიდამ...

ბოდიშს ვიხდი, ჩემო მეზობელო, შენთან! მადლობელი ვარ, ჭკუა მასწავლე, თვალები ამიხილე!.. არა, ვინ არის თავდები, რომ ჩემს დანიშნულს, ჩემს უმანკო თალიკოს, რომელიც დღეს «ჩემო კარგო, ძვირფასო ლევანს» მეძახის, ხვალ პსიხოპატობა არ მოუვლის, უცხო კაცს არ შეუვარდება შუაღამისას და ავაზაკობას, მტარვალობას არ დამწამებს?!. არა, შორს, შორს: დღევანდელი უმანკო ანგელოზი ხვალ ტარტაროზ ეშმაკად გადაიქცევა... ღმერთმა დამიხსნას ეხლანდელის სიყვარულისაგანაც და ცოლისაგანაც!..

შენც გეხვეწები, გემუდარები, ჩემო მეგობარო, ფიქრადაც არ გაიტარო ცოლის შერთვა, თუნდ შეგიყვარდეს კიდეც: ეხლანდელი სიყვარულიც ყალბია. არა, დამიფიცავ, რომ დღევანდელი სიყვარული ხვალ პსიხოპატობად არ გადიქცევა?!...

მე-კი გადავწყვიტე, ერთსაც გავექცე და მეორესაც, ორივეს თავში ქვა უწყვეტიათ.

მომწერე, გეთაყვა ორიოდე სიტყვა, ამ ახლო ხანებში ხომ არსად აპირებ წასვლას. ამ ერთს კვირაში შენ გესტუმრები. მაშ ნახვამდის!

შენი ერთგული ლევანი.

დონ-იაგო

დაიდარაბისათვის საჭირო ფულის მოსაგროვებლადაო. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ კომისიის მოსალოდნელი" გადაწყვეტა არ აშინებს არც პარნელსა და არც იმის დასს და რომ ამ დასსა და ინგლისის ლიბერალებს შორის ახლაც ისეთი თანხმობა და ერთობა ჰსუფევს, როგორიც წინად იყო. კომისია წელიწად-ნახევარი მუშაობს და უნდა გამოიძიოს, რა კავშირი სუფევდა ირლანდიაში ჩადენილ ბოროტებათა და ირლანდიისავე საეროვნო დასს შუა, მაგრამ ეტყობა, რომ კომისიას ვერაფერი ვერ დაუმტკიცებია პარნელისა და იმისის დასის საწინააღმდეგო. თორემ ასე რომ ყოფილიყო, გლადსტონი, მეთაური ლიბერალებისა, არას დროს არ მიიმხრობდა ისეთს დასს, რომელსაც შესძლებიყო რაიმე მწიკვლი მოეცხო ინგლისის ლიბერალთათვის. ესვევ გარემოება ამტკიცებს, რომ ირლანდიელების მოწინააღმდეგეთ, თუმცა ბევრს ეცადნენ, მაინც ვერ მოახერხეს დაერღვიათ ერთობა და მეგობრობა ლიბერალებისა და ირლანდიელებისა.

ლივერპულის სიტყვაში პარნელმა ილაპარაკა სხვათა შორის საადგილმამულო ცვლილებათა შესახებ ირლანდიაში. პარნელი იმ აზრისაა, რომ მთელმა ინგლისის სახელმწიფომ არ უნდა გამოიღოს ფული, რომელიც საჭიროა ირლანდიელ მემამულეთაგან მიწების შესყიდვისათვის ირლანდიის გლეხკაცობის მიერო. ირლანდიას უნდა მიეცეს თვით-მმართველობა და მერე თითონ ირლანდიელებმა უნდა იზრუნონ ისეთის ფონდის დაარსებისათვისაც, რომელიც შეაძლებინებს იქაურს მთავრობას შესყიდვას მემამულეთაგან მიწებისას ფერმერებისათვის დასარიგებლადაო.

თუ მაინცა და მაინც როგორმე მოხდა და ეს შესყიდვა მამულებისა მემამულეთაგან ვერ მოხერხდა, მემამულეებს შეუძლიანთ, ჩვენის დასის აზრით, დარჩნენ ირლანდიაშივე, ხოლო ლალის საქმე-კი ისე უნდა დაწესდეს, რომ მხვნელ-მთესველს შეეძლოს იმისი გადახდაო...

საფრანგეთი. ბულანჟელები ბევრსა ფრთხილობენ, მაგრამ ველარა გაუწყვიათ-რა. მუქარით-კი მაინც ემუქრებიან სარესპუბლიკო მთავრობას და კრებას კრებაზე მაინც კიდევ ჰმართავენ, რათა გამოაცხადონ, რომ ჩვენ მტერნი ვართ დღევანდელის მთავრობისა და ჩვენი მეთაური „ბარაქალა" გენერალი კვლავ დაუბრუნდება თავისს საქმეს საეროვნო მთავრობის შედგენისასაო. ერთი ამისთანა კრება ბულანჟელებისა ამ დღეებში იყო. კრებაზე დაესწრნენ ბულანჟელების ორატორები და მეთაურნი ორიოდეს გარდა, რომელნიც ინფლუენციით გახდნენ ავადაო. კრებაზე ილაპარაკა ვესგუანმა, რომელსაც სასამართლომ რვა თვეით ციხე გადუწყვიტა კუნე დე-ბორეპერის გაბიაბრუებისათვის. მერე ილაპარაკა ლაგერმა და ამტკიცებდა, რომ თუმცა ჩვენ გაცხარებით გვდევნიან, მაგრამ მაინც დას-დასად გაყოფა ჩვენში იმავ წრეზე სდგას, როგორც აქამდე იყოვო. ჩვენი დასი მალე სხვა ყველას მოერევა, თუ შეუერთდა მემარჯვენეთა დასსა და იმათთან ერთად მოითხოვა დაცვა საყოველთაო კენჭის ყრისაო. ლეზანმა ბულანჟეს დაუწყო ქება და სთქვა, რომ მარტო ის შეგვძენს გამარჯვებას და მოერევა მტერსაო. ეხლანდელი მთავრობა გერმანიას შეჰყურებს თვალსა და წარბში და სცდილობს იმისთვის სასიამოვნო საქმე აკეთოსო...

◆◆

# დეპეშა

## 21 დეკემბერი

პეტერბურგი. 18 მილიონის მანათის ქაღალდის ფული, რომელიც დარჩა სახელმწიფო ბანკს ახლებზე გამოცვლის შემდეგ, ჩვეულებრივის წესით ცეცხლში იქმნა დაწული.

მსოფლიო საფოსტო კავშირთან შეკრულის პირობის ძალით საწერ მაშინის შემწეობით აღებული პირი ნაწერისა დაბეჭდილ წიგნად არ უნდა ჩაითვალოს.

ბოტკინის გვამს სამ-ოთხ კვირაზე ადრე ვერ მოასვენებენ პეტერბურგს, რადგან ქ-ნი ბოტკინისა ინფლუენციით გახდა ავად.

ბუხარა. აქ არავითარი ამბავი არ მოსულა აჯანყებისა ავღანისტანში აბდურახმანხანის წინააღმდეგ. ემირი ფეხმოუცვლელად მაზარი-შერიფში იმყოფება. ვაჭრობა ბუხარასა და ავღანისტანს შორის არა კლებულობს, რაიცა ამტკიცებს, რომ ინგლისურის გაზეთების ცნობანი აჯანყების თაობაზე უსაფუძვლოა.

რომი. მეფემ, როცა ახალი დეპუტაცია ჰნახა პარლამენტისა, სთქვა, რომ ბედნიერი ვიქნები ახალის წლის ხილვით, რადგან ეს წელიწადი უფრო კარგის ნიშნებით დგება, ვიდრე შარშანდელიო.

პარიჟი. პაპის ნუნციმ პრეზიდენტს კარნოს სადიპლომატო კორპუსი წარუდგინა და სთქვა, რომ დიდად მოსურნე ვარ საფრანგეთის ერმა, რომელიც დაუშრობელი წყაროა გენიოსობისა, ამ ახალად დამწყებს წელიწადსაც ახალი ფურცლები მიუმატოს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიასაო. კარნომ უპასუხა: „მომავალს წელიწადს ჩვენ საერთო ღონით კვლავ განვაგრძობთ დიდებულს საქმეს მშვიდობიანობის დაცვისა და პროგრესისას და დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეს კეთილად დავაბოლოვებთ კიდეც მთავრობათა და ერთა სურვილის წყალობითაო".

## 22 დეკემბერი

პეტერბურგი. „Новости"-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭოს წარედგინა დასამტკიცებლად პროექტი წესებისა დასაარსებლად სამრეწველო საზოგადოებათა და ამხანაგობათაო.

„Новое Время" იუწყება, რომ უმაღლესს მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად პროექტი ყმაწვილების აღსაზრდელის სახლების გადაკეთებისა 1891 წლიდამ ისეთს ყმაწვილების მიღებას აპირობენ, რომელთა დედმამაც ცნობილნი არიან ექმნებათ მეტრიკის მოწმობანი სატახტო ქალაქში დაბადებისა და რომელთაც კიდევ პოლიცია იპოვის მოიყვანს დედ-მამათგან მიტოვებულებს. „Гражданинъ"-ი იუწყება, რომ იმ კომისიამ, რომელიც დაარსებული იყო გამოსაკვლევად იმისა, თუ რად დაიწია ფასმა სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა ნაწარმოებისამ, წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი წესდებისა საურთიერთო სამეურნეო ზღვევის საზოგადოებათა, რომელთაც საგნად ექმნებათ განკარგება და წარმატება საურთიერთო ზღვევის საქმისა მთელს იმპერიაში.

მოსკოვი. საგუბერნიო საერო კრებამ გადასწყვიტა, რომ, რადგან ერთის არჩევანებიდამ მეორემდე ერობა ნაკლებად არის ურთიერთობაში ხალხიანაო, ამიტომ ვბეჭდოთ ჩვენი ანგარიშები და ვგზავნოთ მაზრებშიო.

კოსტრომა. საგუბერნიო სათავადაზნაურო კრებამ გადასწყვიტა: ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე რომ შეამციროს სწავლება ძველის ენებისა კლასიკურს გიმნაზიებში.

სარატოვი. დღეს საგუბერნიო საერო კრებამ ერთხმად გადასწყვიტა: ვიშუამდგომლოთ, რომ დაუკლონ სარგებელი იმ ფულზედ, რომელსაც იღებენ სესხად საგლეხო საადგილ-მამულო ბანკებიდამაო; ფულს იმდენს იძლეოდნენ სესხად, რამდენიც ღირს მიწა და საგლეხო ბანკის მოქმედებას შეფერებულ ექმნას წესნი მამულების შესყიდვის აპერაციებისაო.

ბრიუსელი. დღეს, შუადღის შემდეგ დაიწვა სამეფო სასახლე ლეკენში. ყველა კოლექციები დაიღუპა; ზარალი მეტად დიდია. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არ იციან. მეფე-დედოფალი ბრიუსელში იყო საახალწლო დარბაზობის მისაღებად. მოვიდა თუ არა ამბავი ცეცხლის გაჩენისა, მაშინვე დაიშალა ეს დარბაზობა. მეფის ასული პრინცესა კლემენტინა გადარჩენილ იქმნა; ხოლო აღმზრდელი მისი დაიღუპა. სხვა არავინ არ დამწვარა ცეცხლში.

პეტერბურგის ბირჟა, 19 დეკემბ.

| | მყიდველ-თა. | | გამყიდველ-თისა. | | გარიგე-ბისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 46 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 149 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 11 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 275 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 250¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

# განცხადებანი

ეს-ეს არის ეხლა დაიბეჭდა მეორედ გასწორებული და შევსებული გამოცემა მრავალის სურათით.

საღმრთო ისტორია

ძველისა და ახალის აღთქმისა

თხზ. მღვ. ლაზარე ტურიევისა.

წიგნი ისყიდება საცენტრალო წიგნის მაღაზიაში, რომელიც ტფილისში იმყოფება. ფასი 40 კაპ. წიგნის გამყიდველთ და სასწავლებლებს დაეთმობათ 20%.

(5—3)

მრავლისა და სხვა-და-სხვა გვარის

სათამაშოების გამოფენა

იქნება

საცენტრალო გალანტერეიის მაღაზიაში,

რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

იქვე

მრავლად და იაფად ისყიდება

ყოველ გვარი საგალანტერეიო და საოჯახო ნივთი, თეთრეული, ხელსახოცი, ყერხე, ფუფაიკა, პერანგის ამხანაგი, ღამბა, ჭურჭლეული, ალბომი და მრავალი სხვა (10—6)

სამეურნეო გაზეთი

„მეურნე"

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე" მომავალს 1890 წელს გამოიცემა იმავე პროგრამითა და სიერცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| თბილისში | | თბილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . . | 4 მ.— | 1 წლისა . . . | 5 მან. |
| ½ „ . . . | 2 მ.50კ. | ½ „ . . . | 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველ გვერდზედ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების" კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუეტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ თითონ რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію газ. „Мэурнэ".

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს.

ПОДПИСКА НА

„ТРУДЫ"

Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства

1890 года,

выходящіе ежемѣсячно и посвященные нуждамъ кавказской сельскохозяйственной промышленности,

ПРИНИМАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ,

въ канцеляріи Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства, что на Барятинской улицѣ, въ Александровскомъ саду.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ИЗДАНІЯ ЗА ГОДЪ—

ЧЕТЫРЕ руб.

съ пересылкою во всѣ города Россійской имперіи и доставкою на домъ.

Отдѣльные номера не продаются.

Для напечатанія въ „Трудахъ" принимаются сельско хозяйственныя объявленія, по соглашенію съ бюро Общества.



მომზადება და გასყიდვა, ვითარცა ისეთის წამლისა, რომელშიაც მავნებელი ნივთიერება არა არის-რა გარეული, ნება-დართულია პეტროკოვის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილების მიერ [illegible] საზოგადო სარგებლობისთვის.

ახალი კოლდ - კრემი

ალდეჰიდი

ქიმიკოსის ვლადიოსი

ვინც ყოველ დღე იხმარებს, იმას კანს ურბილებს, უთეთრებს და ჭმუხნებს შეუმჩნევლად უხდის სახეზედ.

ალდეჰიდში არავითარი ქონისებური ნივთიერება არ არის ნარევი და ამიტომ არასოდეს ფუჭდება, ტანისამოსზედ არავითარს ლაქას არა სტოვებს, და ასეთი თვისება-კი არც ერთს სხვა კოლდ - კრემს არა აქვს.

უმთავრესი საწყობი იმყოფება მოსკოვში, სტარო-გოსტინის ქარვასლაში, ბ. კრიმერთან. (10—4)

Доз. ценз. Тифлисъ 22-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.